# ბათუმის საქალაქო სასამართლოს

# საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომის

# ოქმი №1

ქალაქი ბათუმი 27 იანვარი, 2015 წ.

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა - ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე - **დავით მამისეიშვილი;**

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**ხვიჩა კიკილაშვილი** - საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;

**საკონკურსო - საატესტაციო კომისიის წევრები :**

**ლევან მიქაბერიძე** - ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;

**ჯუმბერ ბეჟანიძე** - ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;

**ადამ მახარაძე** - დამოუკიდებელი სპეციალისტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი;

**თეონა ჭუმბურიძე** - ფიზიკური პირი, ადვოკატი.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო ორი საკითხი :

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს აპარატის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარება.
2. კონკურსის ჩატარების პროცედურების განსაზღვრა.

1. კომისიის წევრებმა მოისმინეს საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის დავით მამისეიშვილის ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, კონკურსს ექვემდებარება შემდეგი საშტატო თანამდებობები:

**ბათუმის საქალაქო სასამართლოს აპარატში:**

| N | თანამდებობის დასახელება | ვაკანსია |
|---|---|---|
| | **საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება** | |
| 1 | წამყვანი სპეციალისტი (საერთაშორისო პრაქტიკის განზოგადების საკითხებში) | 1 |

| | | |
|---|---|---|
| 2 | სპეციალისტი (სამეურნეო საკითხებში) | 1 |
| | **კანცელარია და მოქალაქეთა მისაღები (განყოფილება)** | |
| 3 | კურიერი | 1 |
| | **მანდატურის სამსახური** | |
| 4 | მანდატური | 2 |

2. კომისიის წევრებმა მოისმინეს საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის დავით მამისეიშვილის ინფორმაცია, კონკურსის ჩატარების პროცედურების თაობაზე, რომლის თანახმადაც სასურველია:

- კონკურსი ჩატარდეს გასაუბრების ფორმით;

- კონკურსში მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ იმ კანდიდატმა, რომელიც განაცხადის (აპლიკაციის) გადარჩევის საფუძველზე დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;

- კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე დაკავშირება მოხდეს მხოლოდ შერჩევის შედეგად შემდეგ ეტაპზე გადასულ კანდიდატთან მის მიერ განაცხადში მითითებული ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით;

- საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრაციული ვებ-გვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით კონკურსი გამოცხადდეს 2015 წლის 02 თებერვალს, განცხადებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2015 წლის 16 თებერვალი.

- ბათუმის საქალაქო სასამართლოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ განიხილა - ბათუმის საქალაქო სასამართლოში კონკურსის გამოცხადების საკითხი და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოში გამოცხადდეს კონკურსი აპარატის მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე;
2. კონკურსი ჩატარდეს გასაუბრების ფორმით;
3. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნომ უზრუნველყოს წარმოდგენილი განაცხადების შესაბამისობის შემოწმება დადგენილ მოთხოვნებთან;
4. კონკურსში (გასაუბრებაში) მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ იმ კანდიდატმა, რომელიც განაცხადის (აპლიკაციის) გადარჩევის საფუძველზე დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;
5. კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე დაკავშირება მოხდეს მხოლოდ შერჩევის შედეგად შემდეგ ეტაპზე გადასულ კანდიდატთან მის მიერ განაცხადში მითითებული ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით;

6. საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრაციული ვებგვერდის (www.hr.gov.ge)მეშვეობით კონკურსი გამოცხადდეს 2015 წლის 02 თებერვალს, განცხადებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2015 წლის 16 თებერვალი.

კომისიის თავმჯდომარე

დავით მამისეიშვილი -

თავმჯდომარის მოადგილე

ხვიჩა კიკილაშვილი -

კომისიის წევრი

ლევან მიქაბერიძე -

კომისიის წევრი

ჯუმბერ ბეჟანიძე -

კომისიის წევრი

ადამ მახარაძე -

კომისიის წევრი

თეონა ჭუმბურიძე -